


### თავი III

#### სახელმწიფო ბიუჯეტის ასიმებრები

2016 წლის განმავლობაში „საქართველოს 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილება შეტანილი იქნა ერთხელ. სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებები თავდაპირველ ბიუჯეტთან შედარებით გაიზარდა 152 950.0 ათასი ლარით და განისაზღვრა 10 297 950.0 ათასი ლარით. საანგარიშო პერიოდის საკასო შესრულებამ შეადგინა 10 292 234.1 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 99.9%-ია.

საქართველოს 2011-2016 წლების სახელმწიფო ბიუჯეტების  
გეგმიური და საკასო მაჩვენებლები

(ათას ლარებში)



#### სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯები

„საქართველოს 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯები განისაზღვრა 8 671 300.5 ათასი ლარით. დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 8 721 874.2 ათასი ლარი, რაც წლიური დამტკიცებული შესაბამისი მაჩვენებლის 100.6%-ია. გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 8 741 830.8 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 100.2%-ია.

## სახელმწიფო ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდა

„საქართველოს 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით სახელმწიფო ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდა განისაზღვრა 713 700.9 ათასი ლარით. დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 666 581.3 ათასი ლარი, რაც წლიური დამტკიცებული მაჩვენებლის 93.4%-ია. საკასო შესრულებამ შეადგინა 662 400.4 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 99.4%-ია.


## სახელმწიფო ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ზრდა

„საქართველოს 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით სახელმწიფო ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ზრდა განისაზღვრა 468 591.6 ათასი ლარით. დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 512 029.1 ათასი ლარი, რაც წლიური დამტკიცებული მაჩვენებლის 109.3%-ია. საკასო შესრულებამ შეადგინა 495 571.2 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 96.8%-ია.

## სახელმწიფო ბიუჯეტის ვალდებულებების კლება

„საქართველოს 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით სახელმწიფო ბიუჯეტის ვალდებულებების კლება განისაზღვრა 444 357.0 ათასი ლარით. დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 397 465.4 ათასი ლარი, რაც წლიური დამტკიცებული ბიუჯეტის 89.5%-ია. საკასო შესრულებამ შეადგინა 392 431.7 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 98.7%-ია.

2016 წლის ასიგნებების სტრუქტურა  
(საკასო შესრულება)



გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:

- საპენსიო უზრუნველყოფის მიმართულებით, სახელმწიფოს მიერ ნაკისრი ვალდებულებების დაფინანსების მიზნით განხორციელდა „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ და „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონებით გათვალისწინებულ ბენეფიციართა უზრუნველყოფა სახელმწიფო პენსიებით და სახელმწიფო კომპენსაციებით. 2016 წლის ივლისში განხორციელდა საპენსიო ასაკის საფუძველზე დანიშნული პენსიის ზრდა, კერძოდ ყველა ასაკით პენსიონერთათვის პენსიის ოდენობა განისაზღვრა 180 ლარის ოდენობით. სულ საანგარიშო პერიოდში მოსახლეობის საპენსიო უზრუნველყოფის პროგრამული კოდიდან გადარიცხულ იქნა 1 571.0 მლნ ლარი.

- სოციალური დახმარებების პროგრამის ფარგლებში ქვეყნის მასშტაბით განხორციელდა სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული ღატაცი იჯახებისთვის სოციალური დახმარებისა და ბავშვთა ინსტიტუციური დაწესებულებებიდან ბიოლოგიურ ოჯახებში დაბრუნებასთან დაკავშირებული რეინტეგრაციის შემწეობის გაცემა. ასევე, სოციალური პაკეტის დაფინანსება შშმ პირებისთვის, შშმ ბავშვებისთვის, მარჩენალდაკარგულებისთვის და სხვა მოწყვლადი კატეგორიებისათვის, ლტოლვილთა და დევნილთა შემწეობებით უზრუნველყოფა და შრომითი მოვალეობის შესრულებისას დასაქმებულის ჯანმრთელობის ვწების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურება, ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის, ასევე, ახალშობილის შვილად აყვანის გამო დახმარების, საყოფაცხოვრებო სუბსიდიის, დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობის მიზნობრივი სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, მესამე და ყოველ მომდევნო ცოცხლადშობილი შვილის დაბადების გამო ფულადი დახმარების გაცემა (2016 წლის 1 იანვრიდან ფულად დახმარებას იღებენ ბენეფიციარები, რომელთა ერთ-ერთ მშობელს აქვს მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსი). მოსახლეობის მიზნობრივი ჯგუფების სოციალური დახმარებების გასაცემად საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიიმართა სულ 648.4 მლნ ლარი;

- „მოსახლეობის საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის პროგრამის“ ფარგლებში (სრულად ამოქმედდა 2014 წლის 1 სექტემბრიდან), რომლის მიზანია ჯანმრთელობის დაზღვევის არმქონე საქართველოს მოსახლეობისათვის ფინანსური უზრუნველყოფის შექმნა სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობაზე, საანგარიშო პერიოდში მიმდინარეობდა მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება გადაუდებელ სტაციონარულ და ამბულატორიულ მომსახურებაზე ფინანსური ხელმისაწვდომობის გაზრდის გზით. პროგრამამ მოიცვა ასევე, გეგმიურ-ამბულატორიული და სტაციონარული მომსახურებები (გეგმიური ქირურგული ოპერაციები მ.შ. კარდიოქირურგიული და ონკოლოგიური ოპერაციები, ონკოლოგიურ პაციენტთა მკურნალობა, მშობიარობა, ლაბორატორიული და ინსტრუმენტული გამოკვლევები და ა.შ.). სულ ამ მიზნით საანგარიშო პერიოდში მიმართულ იქნა 677.6 მლნ ლარი;

- პირველი სექტემბრიდან ძალაში შევიდა „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული შეღავათები, კერძოდ: მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პენსიონერები იღებენ დანამატს პენსიის 20%-ის ოდენობით, ასევე სოციალური პაკეტის მიმღებთათვის დაინიშნა დანამატი სოციალური პაკეტის 20%-ის ოდენობით. ასევე, დანამატები მაღალმთიან დასახლებაში მდებარე, სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებულ და მის მართვაში არსებულ სამედიცინო დაწესებულებაში დასაქმებული სამედიცინო პერსონალისთვის (ექიმისთვის – პენსიის ორმაგი ოდენობით, ექთნისთვის – პენსიის ერთმაგი ოდენობით). სულ ამ მიზნით საანგარიშო პერიოდში მიმართულ იქნა 10.6 მლნ ლარი;

- საქართველოს თავდაცვის, საქართველოს შინაგან საქმეთა და საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროების მიერ დაფინანსებულ იქნა მოსამსახურეთა სადაზღვევო პრემიები;
- მიმდინარეობდა სახელმწიფოს დაქვემდებარებაში ყოფილი კომპაქტურად განსახლების ობიექტების დევნილთათვის კერძო საკუთრებაში გადაცემა, რომლის ფარგლებშიც კერძო საკუთრებაში საცხოვრებელი ფართი (ბინა) გადაეცა 2 013 ოჯახს, დევნილთა გრძელვადიანი განსახლების და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების მიზნით ქ. თბილისა და საქართველოს სხვადასხვა რეგიონში შეძენილ იქნა 708 საცხოვრებელი სახლი. განხორციელდა კერძო საკუთრებაში არსებული 101 ბინის გამოსყიდვა, ხოლო სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახებისათვის საქართველოს სხვადასხვა რეგიონში შეძენილ იქნა 94 საცხოვრებელი სახლი. დასრულდა მენაშენებისაგან საცხოვრებელი ბინების შეძენა ქ. თბილისში, ქ. ქუთაისსა და ქ. მარნეულში 6 ობიექტზე, ხოლო მიმდინარეობდა ბინების შესყიდვა საქართველოს სხვადასხვა ქალაქებში 5 ობიექტზე. მიმდინარეობდა საცხოვრებელი კორპუსების მშენებლობა 3 ობიექტზე. დასრულდა შენობა-ნაგებობის სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოები 6 განსახლების ობიექტზე, ხოლო მიმდინარეობდა - 3 განსახლების ობიექტზე. გრძელვადიანი საცხოვრებლით უზრუნველყოფილი იქნა 912 ოჯახი;
- სოციალური დახმარების სახით, ფინანსური დახმარება გაეწია 5 320 დევნილს, ასევე სხვადასხვა ნგრევადი და შეჭრილი ობიექტებიდან უკიდურესად გაჭირვებულ 2 701 ოჯახს - საცხოვრებელი ფართების დაქირავების მიზნით (ყოველთვიურად 200-დან 300 ლარამდე);
- სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მიერ უძრავი ქონებით დაკვაყოფილებულ იქნა 2 874 იძულებით გადაადგილებულ პირთა ოჯახი, ხოლო 472 უძრავი ქონება გადაეცა ეკომიგრანტთა ოჯახებს;
- ქვეყნის მასშტაბით არსებული ორი ათასზე მეტი საჯარო და 240-მდე კერძო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის დასაფინანსებლად მიიმართა 517.1 მლნ ლარი;
- უზრუნველყოფილ იქნა 1.2 ათასამდე საჯარო სკოლის 70.0 ათასამდე მოსწავლის უფასო ტრანსპორტირება სკოლაში, რომლებიც ცხოვრობენ ისეთ დასახლებულ პუნქტში, სადაც არ ფუნქციონირებს სკოლა და სკოლამდე მისასვლელი მანძილი შორია, ამ მიზნით სულ მიიმართა 18.2 მლნ ლარი.
- კონფლიქტის ზონებში მცხოვრებ პედაგოგებსა და ადმინისტრაციულ-ტექნიკურ პერსონალს გაეწია ფინანსური დახმარება, ამ მიზნით მიიმართა 2.4 მლნ ლარი.
- 1 300-მდე მანდატური საგანმანათლებლო დაწესებულების ტერიტორიაზე უზრუნველყოფდა საზოგადოებრივ წესრიგსა და უსაფრთხოების დაცვას. მანდატურები გადანაწილებულნი იყვნენ 450-მდე სკოლაში, 3 პროფესიულ სასწავლებელსა და ერთ უნივერსიტეტში;
- დასრულდა 5 ახალი სკოლის მშენებლობა და 256 საჯარო სკოლის, 12 პროფესიული სასწავლებლისა და 10 საგანმანათლებლო რესურს-ცენტრის სხვადასხვა ტიპის სარეაბილიტაციო სამუშაოები, სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელების მიზნით დაფინანსება მიიღო 216-მა საჯარო სკოლამ, 16-მა პროფესიულმა კოლეჯმა და 5-მა უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ. ასევე, დასრულდა 12 საჯარო სკოლის სარეაბილიტაციო სამუშაოები და დამონტაჟდა სასკოლო ლაბორატორიები, 13 საჯარო სკოლაში დაიდგა ბიოლოგიური გამწმენდი დანადგარები, ცალკეული პროექტების განხორციელების მიზნით დაფინანსება მიიღო 10-მა პროფესიულმა სასწავლებელმა და დაფინანსდა 7 პროექტი, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების პრაქტიკის გაუმჯობესებისათვის;

• საქართველოს მთავრობის ინიციატივითა და მხარდაჭერით მიმდინარეობდა მასშტაბური პროექტი „Check in Georgia”, რომელიც მოიცავდა კულტურული ღონისძიებების სერიას თბილისა და რეგიონებში. მისი მიზანია ქვეყნის კულტურულ ცენტრად ქცევა და ტურისტების მოზიდვა. ამ მიზნით მიმართულ იქნა 27.8 მლნ ლარი;

• ხელი შეეწყო, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშების მდგომარეობის შეფასების, ძეგლების რეაბილიტაცია/კონსერვაციის საპროექტო დოკუმენტაციის მომზადებისა და სარეკონსტრუქციო სამუშაოების განხორციელებას;

• „სპორტსმენთა სტიპენდიების“ პროგრამის ფარგლებში სტიპენდიები გაიცა 762 მოქმედ სპორტსმენზე, მწვრთნელზე და საექიმო პერსონალზე, მაღალმთავან რეგიონში დასაქმებულ 173 სპორტულ მუშაკზე. „ვეტერან სპორტსმენთა და სპორტის მუშაკთა სოციალური დახმარების“ პროგრამის ფარგლებში მატერიალური და სოციალური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად 440 ვეტერანმა სპორტსმენმა და სპორტის მუშაკმა მიიღო დახმარება. „ოლიმპიური ჩემპიონების სტიპენდიების“ პროგრამის ფარგლებში სტიპენდიები დანიშნული აქვს 32 სახელოვან სპორტსმენს, თითოეულს 1 000 ლარის ოდენობით.

• სპორტულ სახეობათა მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა 200 - მდე ადგილობრივი სპორტული შეჯიბრი და 250 - მდე სასწავლო - საწვრთნო შეკრება სპორტის 48 სახეობაში. ქართველმა სპორტსმენებმა მონაწილეობა მიიღეს 150 - მდე საერთაშორისო სპორტულ ასპარეზობაში და მოიპოვეს 844 მედალი (291 ოქრო, 250 ვერცხლი და 303 ბრინჯაო);

• საანგარიშო პერიოდში სპორტის ინდივიდუალურ ოლიმპიურ და არაოლიმპიურ სახეობებში, ცალკეულ სათამაშო სახეობებსა და პარაოლიმპიურ სპორტში საქართველოს ნაკრები გუნდების წევრთა, მწვრთნელთა, საექიმო და ადმინისტრაციული პერსონალის ფულადი პრიზებით დაჯილდოების მიზნით, საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან მიმართულ იქნა 15.9 მლნ ლარი;

• სპორტის ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციისა და სპორტული ინფრასტრუქტურის განახლების პროგრამის ფარგლებში საქართველოს რეგიონებში დამონტაჟდა 24 ერთეული გარე სავარჯიშო მოწყობილობა, ასევე, ეროვნულ სპორტულ ფედერაციებს და ადგილობრივ თვითმმართველობებს გადაეცა სპორტული ობიექტებისათვის შეძენილი სხვადასხვა სახის სპორტული ინვენტარი;

• ქართული ფეხბურთის განვითარების მიზნით, საქართველოს მთავრობის განკარგულებით დაფუძნებული (ა)იპ ქართული ფეხბურთის განვითარების ფონდის მიერ დაფინანსდა საქართველოს საფეხბურთო ჩემპიონატის სხვადასხვა ლიგაში მონაწილე გუნდების საბაზისო, მასობრივი და სხვადასხვა სახის საფეხბურთო ღონისძიებები. წლიური მონაცემებით დაფინანსდა 75 სუბიექტი (სახელმწიფო და კერძო კლუბები, სამოყვარულო ლიგა).

• განხორციელდა სსიპ საქართველოს ოლიმპიური რეზერვების მზადების ეროვნულ ცენტრში რიცხული 150 სპორტსმენის, მათ შორის საქართველოს ნაკრები გუნდების წევრებისა და კანდიდატების უზრუნველყოფის პროგრამა საცხოვრებლით, კვებით და სპორტული დარბაზებით;

• ანაზღაურებულ იქნა ყაზბეგის მუნიციპალიტეტისა და დუმეთის მუნიციპალიტეტის მაღალმთავან სოფლებში (სეთურნი, ზაქათვარი, ჯალმიანი, ბედონი, ბენიან-ბეგონი, იუხო, მუდურუ, წვერე, ციხიანი, სვიანა-როსტიანი და ქოროღო, აგრეთვე იმ სოფლებში, რომელთაც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მაღალმთავანი დასახლების სტატუსი მიენიჭა) მუდმივად მცხოვრები მოსახლეობის (4.3 ათასზე მეტი აბონენტი) მიერ 2015 წლის პირველი დეკემბერიდან 2016 წლის 15 მაისის ჩათვლით და 2016 წლის 15 ოქტომბრიდან 2016 წლის 30 ნოემბრის ჩათვლით პერიოდებში მოხმარებული 10.0 მლნ მ<sup>3</sup> ბუნებრივი აირის ღირებულება 4.1 მლნ ლარის ოდენობით;

• სარწყავი და დამშრობი სისტემების რეაბილიტაციის, წყალსაცავების მშენებლობის, სამელიორაციო დანიშნულების ტექნიკის, მანქანა მექანიზმების, მოწყობილობების, დანადგარებისა და სატრანსპორტო საშუალებების შეძენის, სამელიორაციო ინფრასტრუქტურის ტექნიკური ექსპლუატაციის, მექანიკური სატუმბი სადგურებისა და სხვა ჰიდროკანალების ფუნქციონირებისთვის მოსახმარი ელექტროენერგიის, სამელიორაციო დანიშნულების ტექნიკის, სატრანსპორტო საშუალებებისა და სხვა მანქანა-მექანიზმების მოვლა-შენახვის ღონისძიებების ნაწილობრივი სუბსიდირების მიზნით მიიმართა 53.0 მლნ ლარი;

• შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის ფარგლებში ხორციელდება მეწარმეთა უზრუნველყოფა იაფი და ხელმისაწვდომი ფულადი სახსრებით, შესაბამისად სააგენტო უზრუნველყოფს პროექტში მონაწილე კომერციული ბანკების და საფინანსო ინსტიტუტების მიერ გაცემული სესხის საპროცენტო განაკვეთის თანადაფინანსებას, დადგენილი საპროცენტო განაკვეთის საფუძველზე. საანგარიშო პერიოდში გაცემულია 1 892 სესხი - 72.4 მლნ ლარის და 834 სესხი - 51.9 მლნ აშშ დოლარის ოდენობით. სულ გაცემული სესხების საპროცენტო განაკვეთების თანადაფინანსების თანხამ შეადგინა 48.9 მლნ ლარი;

• 2016 წლის საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის ღონისძიებების ფარგლებში მოხნულმა მიწის ფართობმა შეადგინა 222.8 ათასი ჰექტარი, რისთვისაც სასოფლო სამეურნეო საქმიანობაში ჩართული მცირემიწიანი ფერმერების საქმიანობის სტიმულირებისათვის მიიმართა 51.3 მლნ ლარი მლნ ლარი;

• აგროდაზღვევის უზრუნველყოფის ღონისძიებების ფარგლებში დაზღვეული მოსავლის ღირებულებამ შეადგინა 133.0 მლნ ლარი, ხოლო დაზღვეულმა ფართობმა - 15.5 ათასი ჰექტარი. პროგრამის ფარგლებში ანაზღაურდა 7.2 მლნ ლარი;

• 2016 წლის რთვლის ეფექტურად განხორციელების მიზნით, „რთვლის ხელშეწყობის ღონისძიებები“-სათვის მიიმართა 36.0 მლნ ლარი, ხოლო „ყურძნის შესყიდვა-გადამუშავების ხელშეწყობის ღონისძიებების“ განსახორციელებლად -19.0 მლნ ლარი.

• საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების ღონისძიებებზე გზების მოვლა-შენახვაზე, ახალი მაგისტრალების, შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გზების მშენებლობაზე დახარჯულ იქნა 529.8 მლნ ლარი, მათ შორის:

- ✓ ჩქაროსნული მაგისტრალების მშენებლობაზე - 270.9 მლნ ლარი.
- ✓ გზების პერიოდულ შეკეთებაზე და რეაბილიტაციაზე - 105.7 მლნ ლარი.
- ✓ გზების მიმდინარე შეკეთებაზე და შენახვაზე ზამთრის პერიოდში - 46.7 მლნ ლარი.

• სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის დახარჯულ იქნა 264.0 მლნ ლარი, მათ შორის:

- ✓ მდგრადი ურბანული ტრანსპორტის განვითარების საინვესტიციო პროგრამაზე - 105.3 მლნ ლარი;
- ✓ წყლის ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებულ პროექტებზე - 34.6 მლნ ლარი;
- ✓ საქართველოს ურბანული რეკონსტრუქციის და განვითარების პროექტიზე - 22.7 მლნ ლარი;
- ✓ ჭიათურის საბაგირო გზის რეკონსტრუქცია-რეაბილიტაციის პროექტზე - 20.0 მლნ ლარი;
- ✓ რეგიონული და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის გავითარების პროექტი II -ზე - 14.9 მლნ ლარი;
- ✓ რეგიონალური განვითარების პროექტი I ნაწილი (კახეთი) პროექტზე - 11.1 მლნ ლარი;

- ✓ რეგიონალური განვითარების პროექტი II ნაწილი (იმერეთი) პროექტზე - 8.1 მლნ ლარი;
- ✓ რეგიონალური განვითარების პროექტი III (მცხეთა-მთიანეთი და სამცხე-ჯავახეთი) (WB) პროექტზე 7.2 მლნ ლარი;

• წყალმომარაგების ინფრასტრუქტურის აღდგენა - რეაბილიტაციაზე პროექტების ფარგლებში ძირითადად მიმდინარეობდა და დასრულდა: ქობულეთის საკანალიზაციო გამწმენდი ნაგებობის მშენებლობა და გამწმენდი ნაგებობის დანადგარების მონტაჟი; ქალაქ თერჯოლის წყალსადენის რეაბილიტაცია; ქალაქების ონის, ოზურგეთის, აბაშის და თეთრიწყაროს, ხობის, ზესტაფონის, ტყიბულის, წალკის, ბოლნისის, გურჯაანის, სიღნაღის, ლაგოდების, საგარეჯოს, ახმეტის, დუშეთის, ქარელის, სოფელ კურდღელაურის და დაბა წნორის წყალსადენის რეაბილიტაცია; ახალციხისა, ლიკანისა, წალვერის და ასპინძის წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაცია; ქალაქებში თელავის და წყალტუბოს კანალიზაციის გამწმენდი ნაგებობის მშენებლობა (პროექტირება-მშენებლობა); ანაკლიაში აერირებული ავზის შენობის მშენებლობა; ქალაქ ქუთაისში რეზერვუარის, სატუმბი სადგურის, მაგისტრალური მილსადენისა და გამანაწილებელი ქსელების მშენებლობა; ქ. ფოთში კანალიზაციის ქსელების მშენებლობა; ქალაქ ურეკში წყალმომარაგების, საკანალიზაციო სისტემისა და გამწმენდი ნაგებობის მშენებლობა და სხვა. აღნიშნული ღონისძიებების დასაფინანსებლად საანგარიშო პერიოდში მიმართული იქნა 166.1 მლნ ლარი.

- საანგარიშო პერიოდში „აწარმოე საქართველოში“ პროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:

✓ პროგრამის ფინანსებზე ხელმისაწვდომობის კომპონენტის ფარგლებში მეწარმეობის განვითარების სააგენტოს მიერ გაფორმდა ხელშეკრულებები 79 ბენეფიციარ კომპანიასთან კრედიტისა და ლიზინგის საგნის პროცენტის თანადაფინანსებზე, მათ შორის 15 ბენეფიციარ კომპანიასთან სასტუმროს ინდუსტრიის ხელშეწყობის მიმართულებით. აღნიშნულ კომპანიებზე კომერციული ბანკებიდან გაცემული სესხის მოცულობამ შეადგინა 83.4 მლნ ლარი, ხოლო კომპანიების მხრიდან დეკლარირებული ჯამური ინვესტიციის მოცულობა აღემატება 153 მლნ ლარს.

✓ გამოვლინდა პროგრამის მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობის კომპონენტის სამივე ეტაპის (I, II და მთის ეტაპი) გამარჯვებული ბენეფიციარები, რომელთა დაფინანსების პროცესი დასრულდა 2016 წლის ნოემბერში. აღნიშნული კომპონენტის მიხედვით ჯამში დაფინანსებულია 3 204 პროექტი (4 910 ბენეფიციარი), საიდანაც 2016 წელს დაფინანსდა 2 597 პროექტი (3 964 ბენეფიციარი).

✓ „გადაიღე საქართველოში“ კინოინდუსტრიის წახალისების კომპონენტის ფარგლებში დასრულდა 5 (3 ინდური, 1 გერმანულ-ფრანგული-ქართული) სრულმეტრაჟიანი ფილმის გადაღება და მიმდინარეობდა 1 (ამერიკული) ფილმის გადაღება (აღნიშნული პროექტების ღირებულება შეადგენს 7.3 მლნ ლარს);

• გაიზარდა საქართველოს საელჩოების გადაფარვის არეალი და დამყარდა დიპლომატიური ურთიერთობები სვაზილენდთან და პაპუა ახალ გვინეასთან. ორმხრივ და მრავალმხრივ ფორმატში ხელი მოეწერა/ძალაში შევიდა 92 ხელშეკრულება;

• ძალაში შევიდა შემოსავლებსა და კაპიტალზე ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ შეთანხმება კვიპროსთან, ლიხტენშტაინთან და სამხრეთ კორეასთან, ხელი მოეწერა შეთანხმებას ყირგიზეთის რესპუბლიკასთან;

• „საქართველოს მთავრობის საქართველოს ეროვნული ბანკისადმი დავალიანების დაფარვის ორნისმიერების შესახებ“ საქართველოს მთავრობისა და საქართველოს ეროვნული ბანკის 2006 წლის 20 მარტის „შეთანხმებაში“ ცვლილებების შეტანის თაობაზე“ შეთანხმების შესაბამისად 2016 წლის 15 მარტს განხორციელდა საქართველოს მთავრობის მიერ 2015 წლის 15 მარტს გამოშვებული 400 846.0 ათასი ლარის სახელმწიფო ობლიგაციების განახლება 360 846.0 ათასი ლარის ოდენობით, წლიური 11.514 პროცენტი სარგებლის გადახდით და 40 000.0 ათასი ლარის გადაფორმება სახელმწიფო ობლიგაციებად ღია ბაზრის ოპერაციებისათვის, საიდანაც:

- 10 000.0 ათასი ლარი გადაფორმდა წლიური 14.000 პროცენტი სარგებლის გადახდით;
- 8 000.0 ათასი ლარი წლიური 14.125 პროცენტი სარგებლის გადახდით;
- 12 000.0 ათასი ლარი წლიური 14.250 პროცენტი სარგებლის გადახდით;
- 10 000.0 ათასი ლარი წლიური 14.375 პროცენტი სარგებლის გადახდით.

ასევე, ზემოაღნიშნული შეთანხმების შესაბამისად, 2016 წლის 15 მარტს განხორციელდა 2011 წლის 15 მარტს გამოშვებული „ობლიგაციები ღია ბაზრისათვის“ დაფარვა 6 000.0 ათასი ლარის ოდენობით, 2016 წლის 15 ივნისს განხორციელდა 2012 წლის 15 მარტს გამოშვებული „ობლიგაციები ღია ბაზრისათვის“ დაფარვა 12 000.0 ათასი ლარის ოდენობით, 2016 წლის 15 სექტემბერს განხორციელდა 2013 წლის 15 მარტს გამოშვებული „ობლიგაციები ღია ბაზრისათვის“ დაფარვა 10 000.0 ათასი ლარის ოდენობით და 2016 წლის 15 დეკემბერს განხორციელდა 2013 წლის 15 მარტს გამოშვებული „ობლიგაციები ღია ბაზრისათვის“ დაფარვა 7 000.0 ათასი ლარის ოდენობით.

- საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად მიმდინარეობდა პოლიტიკური პარტიებისათვის გამოყოფილი თანხების განაწილების უზრუნველყოფა, დაფინანსდა 20 პოლიტიკური პარტია;
- საანგარიშო პერიოდში საქართველოს სახელმწიფო ჯილდოებზე დაწესებული ერთდღროული ფულადი პრემიები გაიცა 80 დაჯილდოებულ პირზე. ამ მიზნით მიიმართა 48.4 ათასი ლარი.

### **სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯები ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით**

„შრომის ანაზღაურების“ მუხლით საანგარიშო პერიოდში დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 1 452 256.5 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 1 452 292.5 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 100.0%-ს შეადგენს. „შრომის ანაზღაურების“ მუხლის საკასო შესრულება „ხარჯების“ საკასო შესრულების 16.6%-ია, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი გადასახდელების 14.1%-ს შეადგენს.

„საქონელი და მომსახურების“ მუხლით საანგარიშო პერიოდში დაზუსტებული გეგმა განისაზღვრულ იქნა 1 114 023.6 ათასი ლარის ოდენობით. საკასო შესრულებამ კი შეადგინა 1 117 790.3 ათასი ლარი, რაც გეგმის 100.3%-ს შეადგენს. „საქონელი და მომსახურების“ მუხლის საკასო შესრულება „ხარჯების“ საკასო შესრულების 12.8%-ია, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი გადასახდელების 10.9%-ს შეადგენს.

„საქონელი და მომსახურების“ კატეგორიიდან ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლების მიხედვით გაწეული დანარჩენი ხარჯების სტრუქტურა შემდეგია:

- შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება - 170 349.9 ათასი ლარი;
- მივლინებები - 68 152.2 ათასი ლარი;
- ოფისის ხარჯები - 178 001.3 ათასი ლარი;
- წარმომადგენლობითი ხარჯები - 20 646.6 ათასი ლარი;
- კვების ხარჯები - 69 297.4 ათასი ლარი;
- სამედიცინო ხარჯები - 42 587.2 ათასი ლარი;
- რბილი ინვენტარის, უნიფორმისა და პირად ჰიგიენასთან დაკავშირებული ხარჯები - 26 098.0 ათასი ლარი;
- ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები - 118 834.5 ათასი ლარი;
- სამხედრო ტექნიკისა და ტყვია-წამლის შეძენის ხარჯები - 93 841.5 ათასი ლარი;
- სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება - 329 981.8 ათასი ლარი.

„პროცენტის“ მუხლით საანგარიშო პერიოდში დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 402 564.8 ათასი ლარით, საკასო შესრულებამ შეადგინა 397 707.3 ათასი ლარი, რაც გეგმის 98.8%-ს, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეული გადასახდელების 3.9%-ს შეადგენს. პროცენტის მუხლიდან საგარეო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურებაზე მიმართული იქნა 195 011.2 ათასი ლარი, ხოლო საშინაო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურებაზე 202 636.3 ათასი ლარი.

„სუბსიდიების“ მუხლით საანგარიშო პერიოდში დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 321 188.3 ათასი ლარით. საკასო შესრულებამ შეადგინა 333 993.0 ათასი ლარი, რაც გეგმის 104.0%-ს, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი „ხარჯების“ 3.8%-ს შეადგენს.

სუბსიდიის მუხლიდან ძირითადად დაფინანსებული იქნა ისეთი მნიშვნელოვანი პროგრამები, როგორიცაა:

- ✓ სპორტის განვითარების ხელშეწყობის ღონისძიებები - საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს ხაზით აღნიშნულ ღონისძიებებზე საანგარიშო პერიოდში ჯამურად მიიმართა 69 891.7 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 99.8%-ს შეადგენს;
- ✓ შეღავათიანი აგროკურედიტები - ჯამურად მიიმართა 48 906.4 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 100.0%-ს შეადგენს;
- ✓ საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების ღონისძიებები - საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ხაზით აღნიშნულ ღონისძიებაზე ჯამურად მიიმართა 48 123.1 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 96.4%-ს შეადგენს.
- ✓ მეწარმეობის განვითარება - ჯამურად მიიმართა 30 759.5 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 100.1%-ს შეადგენს;
- ✓ მეცნიერებისა და სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობა - ჯამურად მიიმართა 19 439.5 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 98.3%-ს შეადგენს;
- ✓ სასულიერო განათლების ხელშეწყობის გრანტი - ჯამურად მიიმართა 14 026.9 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 100.0%-ს შეადგენს;
- ✓ სამელიორაციო სისტემების მოდერნიზაცია - ჯამურად მიიმართა 11 700.0 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 100.0%-ს შეადგენს;


„გრანტების” მუხლით საანგარიშო პერიოდში საკასო შესრულებამ შეადგინა 960 452.6 ათასი ლარი, რაც დაზუსტებული გეგმიური მაჩვენებლის (969 328.7 ათასი ლარი) 99.1%-ს, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეული გადასახდელების 9.3%-ს შეადგენს.

„სოციალური უზრუნველყოფის” მუხლით საანგარიშო პერიოდში საკასო შესრულებამ შეადგინა 3 150 058.1 ათასი ლარი, რაც დაზუსტებული გეგმიური პარამეტრის (3 150 597.5 ათასი ლარი) 100.0%-ს შეადგენს. „სოციალური უზრუნველყოფის” მუხლის საკასო შესრულება „ხარჯების“ საკასო შესრულების 36.0%-ა, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეული გადასახდელების 30.6%-ს შეადგენს.

სოციალური უზრუნველყოფის მუხლიდან ძირითადად დაფინანსებული იქნა ისეთი მნიშვნელოვანი ღონისძიებები, როგორიცაა:

- ✓ მოსახლეობის საპენსიო უზრუნველყოფა - აღნიშნული მიზნით მიიმართა 1 570 957.1 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 100.0%-ს შეადგენს;
- ✓ მოსახლეობის საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვა - აღნიშნული მიზნით მიიმართა 677 552.4 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 100.0%-ს შეადგენს;
- ✓ მოსახლეობის მიზნობრივი ჯგუფების სოციალური დახმარება - აღნიშნული მიზნით მიიმართა 648 435.8 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 100.0%-ს შეადგენს;
- ✓ საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის და მოსახლეობისათვის სამედიცინო მომსახურების მიწოდება პრიორიტეტულ სფეროებში პროგრამები - აღნიშნული მიზნით ჯამურად მიიმართა 169 780.1 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 99.9%-ს შეადგენს;
- ✓ სოციალური რეაბილიტაცია და ბავშვებზე ზრუნვა - აღნიშნული მიზნით მიიმართა 17 861.6 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 99.4%-ს შეადგენს;

2016 წლის ხარჯების სტრუქტურა  
(საკასო შესრულება)



„სხვა ხარჯების” მუხლით საანგარიშო პერიოდში დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 1 311 914.8 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო საკასო ხარჯი გაწეული იქნა 1 329 537.0 ათასი ლარის მოცულობით,


რაც გეგმის 101.3%-ს. „სხვა ხარჯების” მუხლის საკასო შესრულება „ხარჯების“ საკასო შესრულების 15.2%-ია, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეული გადასახდელების 12.9%-ს შეადგენს.

„სხვა ხარჯების” მუხლიდან დაფინანსებული იქნა ისეთი მნიშვნელოვანი ღონისძიებები, როგორიცაა:

- ✓ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების დაფინანსება - აღნიშნული მიზნით მიიმართა 517 090.1 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 100.0%-ს შეადგენს;
- ✓ რეგიონული და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია - აღნიშნული მიზნით მიიმართა 219 516.2 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 105.3%-ს შეადგენს;
- ✓ სახელმწიფო სასწავლო, სამაგისტრო გრანტები და ახალგაზრდების წახალისება - აღნიშნული მიზნით მიიმართა 94 233.3 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 96.9%-ს შეადგენს;
- ✓ ათასწლეულის გამოწვევა საქართველოს - აღნიშნული მიზნით მიიმართა 53 825.5 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 101.5%-ს შეადგენს;
- ✓ მცირემიწიან ფერმერთა საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის ღონისძიებები - აღნიშნული მიზნით მიიმართა 50 804.1 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 100.0%-ს შეადგენს.
- ✓ იძულებით გადაადგილებული პირების მხარდაჭერა (მ.შ დევნილთა სახლების მშენებლობა/რეაბილიტაცია) - აღნიშნული მიზნით მიიმართა 47 349.7 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 100.1%-ს შეადგენს;
- ✓ საგანმანათლებლო და სამეცნიერო დაწესებულებათა ინფრასტრუქტურის განვითარება - აღნიშნული მიზნით მიიმართა 34 416.7 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 99.4%-ს შეადგენს;
- ✓ წყალმომარაგების ინფრასტრუქტურის აღდგენა-რეაბილიტაცია - აღნიშნული მიზნით მიიმართა 31 067.8 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 100.7%-ს შეადგენს.

**სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯები და არაფინანსური  
აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში**

2015-2016 წლების ფაქტიური შესრულება  
ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით



701 - საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება, 702 - თავდაცვა, 703 - საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება, 704 - კონიშივერი საქმიანობა, 705 - გარემოს დაცვა, 706 - საბინაო - კომუნალური მეურნეობა, 707 - ჯანმრთელობის დაცვა, 708-დასკვნება, კულტურა და რელიგია, 709 - განათლება, 710 - სოციალური დაცვა

**შენიშვნა:** 701\* - გათვალისწინებული არ არის ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის გადასაცემი ტრანსფერები

ძირითადი ფუნქციონალური კატეგორიების მიხედვით 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულება შემდეგი სტრუქტურით ხასიათდება:

- საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების სფეროს დასაფინანსებლად დაგეგმილ იქნა 1 799 419.3 ათასი ლარი. საკასო შესრულებამ შეადგინა 1 780 878.0 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 99.0%, ხოლო სულ ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების - 18.9%. მათ შორის:
  - ✓ აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფის, ფინანსური და ფისკალური საქმიანობის, საგარეო ურთიერთობების დაფინანსებამ შეადგინა 357 605.8 ათასი ლარი, რაც გეგმის (366 750.1 ათასი ლარი) 97.5%-ია;
  - ✓ საერთო დანიშნულების მომსახურების დაფინანსებამ შეადგინა 40 059.2 ათასი ლარი, რაც გეგმის (35 287.3 ათასი ლარი) 113.5%-ია;

- ✓ ვალთან დაკავშირებულ ოპერაციებზე გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 397 647.5 ათასი ლარი, რაც გეგმის (402 505.0 ათასი ლარი) 98.8%-ია;
- ✓ საერთო დანიშნულების ფულადი ნაკადების დაფინანსებამ მთავრობის სხვადასხვა დონეებს შორის შეადგინა 903 690.6 ათასი ლარი, ანუ გეგმის (912 768.9 ათასი ლარი) 99.0%-ია;
- ✓ საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაში სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობის ასიგნებების დაფინანსებამ შეადგინა 81 874.9 ათასი ლარი, რაც გეგმის (82 108.0 ათასი ლარი) 99.7%-ია.

• თავდაცვის ღონისძიებების დასაფინანსებლად დაგეგმილ იქნა 719 883.7 ათასი ლარი. საკასო შესრულებამ შეადგინა 722 372.6 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 100.3%, ხოლო სულ ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების - 7.7%. მათ შორის:

- ✓ შეიარაღებული მალების დაფინანსებამ შეადგინა 645 254.2 ათასი ლარი, ანუ გეგმის (643 693.0 ათასი ლარი) 100.2%;
- ✓ საგარეო სამხედრო დახმარების დაფინანსებამ შეადგინა 40 790.4 ათასი ლარი, ანუ გეგმის (40 799.4 ათასი ლარი) 100.0%;
- ✓ თავდაცვის სფეროში გამოყენებითი კვლევების დაფინანსებამ შეადგინა 34 700.6 ათასი ლარი, რაც გეგმის (33 745.0 ათასი ლარი) 102.8%-ს შეადგენს;
- ✓ სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობის დაფინანსებამ თავდაცვის სფეროში შეადგინა 1 627.4 ათასი ლარი, რაც დაგეგმილი მაჩვენებლის (1 646.3 ათასი ლარი) 98.9%-ია.

• საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების სფეროში დაგეგმილ იქნა 1 012 807.8 ათასი ლარი. საკასო შესრულებამ შეადგინა 1 010 806.3 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 99.8%, ხოლო სულ ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების - 10.7%. მათ შორის:

- ✓ პოლიციის სამსახურის და სახელმწიფო დაცვის დაფინანსებამ შეადგინა 565 282.8 ათასი ლარი, ანუ გეგმის (564 108.0 ათასი ლარი) 100.2%;
- ✓ სახანძრო სამაშველო სამსახურის დაფინანსებამ შეადგინა 58 918.6 ათასი ლარი, ანუ გეგმის (58 996.4 ათასი ლარი) 99.9%;
- ✓ სასამართლოებისა და პროკურატურის დაფინანსებამ შეადგინა 110 690.8 ათასი ლარი, რაც გეგმის (112 871.5 ათასი ლარი) 98.1%-ს შეადგენს;
- ✓ სასჯელადსრულების დაწესებულებებზე გაწეულმა დაფინანსებამ შეადგინა 129 092.0 ათასი ლარი, რაც გეგმის (129 482.5 ათასი ლარი) 99.7%-ს შეადგენს;
- ✓ საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების სფეროში სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობის ასიგნებების დაფინანსებამ შეადგინა 146 822.2 ათასი ლარი, რაც გეგმის (147 349.4 ათასი ლარი) 99.6%-ს შეადგენს.

• ეკონომიკური საქმიანობის სფეროს დასაფინანსებლად დაგეგმილ იქნა 1 122 208.6 ათასი ლარი, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 1 111 049.3 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 99.0%, ხოლო სულ ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების 11.8%. მათ შორის:

- ✓ საერთო ეკონომიკური, კომერციული და შრომით რესურსებთან დაკავშირებული საქმიანობის დაფინანსებამ შეადგინა 63 767.2 ათასი ლარი, ანუ გეგმის (64 266.0 ათასი ლარი) 99.2%;
- ✓ სოფლის მეურნეობის, სატყეო მეურნეობის, მეთევზეობისა და მონადირეობის დაფინანსებამ შეადგინა 230 196.4 ათასი ლარი, რაც გეგმის (234 518.9 ათასი ლარი) 98.2%-ს შეადგენს;

- ✓ სათბობზე და ენერგეტიკაზე გაწეულმა დაფინანსებამ შეადგინა 17 984.4 ათასი ლარი, რაც გეგმის (20 360.7 ათასი ლარი) 88.3%-ს შეადგენს;
- ✓ სამთომომპოვებელ და გადამამუშავებელ მრეწველობაზე და მშენებლობაზე მიმართული იყო 1 174.7 ათასი ლარი, ანუ გეგმის (1 175.1 ათასი ლარი) 100.0%;
- ✓ ტრანსპორტის დაფინანსებამ შეადგინა 645 659.4 ათასი ლარი, ანუ გეგმის (649 868.7 ათასი ლარი) 99.4%;
- ✓ ეკონომიკის სხვა დარგების დაფინანსებამ შეადგინა 121 326.0 ათასი ლარი, ანუ გეგმის (121 686.0 ათასი ლარი) 99.7%;
- ✓ ეკონომიკური საქმიანობის სფეროში სხვა არაკლასიფიცირებული ასიგურებების დაფინანსებამ შეადგინა 30 941.2 ათასი ლარი, რაც გეგმის (30 333.3 ათასი ლარი) 102.0%-ს შეადგენს.

• გარემოს დაცვის სფეროს დასაფინანსებლად დაგეგმილ იქნა 50 646.6 ათასი ლარი, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 62 850.4 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 124.1%, ხოლო სულ ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების - 0.7%. მათ შორის:

- ✓ ნარჩენების შეგროვების, გადამუშავებისა და განადგურების დაფინანსებამ შეადგინა 18 800.9 ათასი ლარი, რაც გეგმის (5 876.0 ათასი ლარი) 320.0%-ს შეადგენს;
- ✓ გარემოს დაბინძურების წინააღმდეგ ბრძოლის დაფინანსებამ შეადგინა 945.7 ათასი ლარი, რაც გეგმის (900.0 ათასი ლარი) 105.1%-ს შეადგენს;
- ✓ ბიომრავალფეროვნებისა და ლანდშაფტების დაცვის დაფინანსებამ შეადგინა 18 826.7 ათასი ლარი, რაც გეგმის (20 654.3 ათასი ლარი) 91.2%-ს შეადგენს;
- ✓ გარემოს დაცვის სფეროში სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობის დაფინანსებამ შეადგინა 24 277.0 ათასი ლარი, რაც გეგმის (23 216.3 ათასი ლარი) 104.6%-ს შეადგენს.

• საბინაო-კომუნალური მეურნეობის სფეროს დასაფინანსებლად დაგეგმილი იყო 51 823.8 ათასი ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 51 407.1 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 99.2%, ხოლო სულ ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების - 0.5%. მათ შორის:

- ✓ კომუნალური მეურნეობის განვითარების დაფინანსებამ შეადგინა 20 299.1 ათასი ლარი, რაც გეგმის (20 916.2 ათასი ლარი) 97.0%-ს შეადგენს;
- ✓ წყალმომარაგების დაფინანსებამ შეადგინა 28 577.7 ათასი ლარი, რაც გეგმის (28 290.7 ათასი ლარი) 101.0%-ს შეადგენს;
- ✓ საბინაო კომუნალური მეურნეობის სფეროში სხვა არაკლასიფიცირებული ხარჯების დაფინანსებამ შეადგინა 2 530.4 ათასი ლარი, რაც გეგმის (2 616.9 ათასი ლარი) 96.7%-ს შეადგენს.

• ჯანმრთელობის დაცვის სფეროს დასაფინანსებლად გეგმა განისაზღვრა 959 553.4 ათასი ლარით, საკასო შესრულებამ შეადგინა 982 504.0 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებელის 102.4%, ხოლო სულ ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების - 10.4%. მათ შორის:

- ✓ სამედიცინო პროდუქციის, მოწყობილობების და აპარატების დაფინანსებამ შეადგინა 7 131.1 ათასი ლარი, ანუ გეგმის (7 253.2 ათასი ლარი) 98.3%;
- ✓ ამბულატორიული მომსახურების დაფინანსებამ შეადგინა 722 162.8 ათასი ლარი, რაც გეგმის (722 226.2 ათასი ლარი) 100.0%-ს შეადგენს;
- ✓ საავადმყოფოების მომსახურების დაფინანსებამ შეადგინა 161 419.2 ათასი ლარი, ანუ გეგმის (143 308.4 ათასი ლარი) 112.6%;


- ✓ საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურების დაფინანსებამ შეადგინა 42 196.2 ათასი ლარი, რაც გეგმის (42 623.3 ათასი ლარი) 99.0%-ს შეადგენს;
- ✓ ჯანმრთელობის დაცვის სფეროში სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობის ასიგნებების დაფინანსებამ შეადგინა 49 594.6 ათასი ლარი, რაც გეგმის (44 142.4 ათასი ლარი) 112.4%-ს შეადგენს.

• დასვენების, კულტურის და რელიგიის სფეროს დასაფინანსებლად განსაზღვრული იყო 239 397.8 ათასი ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 247 456.4 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებელის 103.4%, ხოლო სულ ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების - 2.6%. მათ შორის:

- ✓ დასვენებისა და სპორტის სფეროში მომსახურების დაფინანსებამ შეადგინა 82 139.3 ათასი ლარი, ანუ გეგმის (82 344.1 ათასი ლარი) 99.8%;
- ✓ კულტურის სფეროში მომსახურების დაფინანსებამ შეადგინა 107 281.8 ათასი ლარი, რაც გეგმის (98 536.5 ათასი ლარი) 108.9%-ს შეადგენს;
- ✓ ტელე-რადიო მაუწყებლობის და საგამომცემლო საქმიანობის დაფინანსებამ შეადგინა 45 200.3 ათასი ლარი, რაც გეგმის (45 156.9 ათასი ლარი) 100.1%-ს შეადგენს;
- ✓ რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობის დაფინანსებამ შეადგინა 1 650.5 ათასი ლარი, რაც გეგმის (1 695.4 ათასი ლარი) 97.4%-ს შეადგენს;
- ✓ დასვენების, კულტურისა და რელიგიის სფეროში სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობის ასიგნებების დაფინანსებამ შეადგინა 11 184.4 ათასი ლარი, რაც გეგმის (11 665.1 ათასი ლარი) 95.9%-ს შეადგენს.

• განათლების სფეროს დასაფინანსებლად გეგმამ შეადგინა 1 022 295.3 ათასი ლარი, საკასო შესრულებამ კი - 1 024 740.2 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 100.2%, ხოლო სულ ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების - 10.9%. მათ შორის:

- ✓ ზოგადი განათლების დაფინანსებამ შეადგინა 523 688.2 ათასი ლარი, რაც გეგმის (524 011.7 ათასი ლარი) 99.9%-ს შეადგენს;
- ✓ პროფესიული განათლების დაფინანსებამ შეადგინა 26 640.9 ათასი ლარი, ანუ გეგმის (26 491.9 ათასი ლარი) 100.6%;
- ✓ უმაღლესი განათლების დაფინანსებამ შეადგინა 139 155.2 ათასი ლარი, რაც გეგმის (136 131.7 ათასი ლარი) 102.2%-ს შეადგენს;
- ✓ უმაღლესის შემდგომი განათლების დაფინანსებამ შეადგინა 1 002.4 ათასი ლარი, რაც გეგმის (590.2 ათასი ლარი) 169.8%-ს შეადგენს;
- ✓ განათლების სფეროს დამხმარე მომსახურების დაფინანსებამ შეადგინა 75 470.8 ათასი ლარი, რაც გეგმის (76 144.5 ათასი ლარი) 99.1%-ს შეადგენს;
- ✓ განათლების სფეროში გამოყენებითი კვლევების დაფინანსებამ შეადგინა 65 067.9 ათასი ლარი, რაც გეგმის (63 580.5 ათასი ლარი) 102.3%-ს შეადგენს;
- ✓ განათლების სფეროში სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობის ასიგნებების დაფინანსებამ შეადგინა 193 714.9 ათასი ლარი, რაც გეგმის (195 344.8 ათასი ლარი) 99.2%-ს შეადგენს.



- სოციალური დაცვის სფეროს დასაფინანსებლად გეგმა განსაზღვრული იყო 2 410 419.2 ათასი ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 2 410 167.0 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 100.0%, ხოლო სულ ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების - 25.6%. მათ შორის:

- ✓ ავადმყოფთა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სოციალური დაცვის დაფინანსებამ შეადგინა 6 414.9 ათასი ლარი, ანუ გეგმის (6 450.0 ათასი ლარი) 99.5%;
- ✓ ხანდაზმულთა სოციალური დაცვის დაფინანსებამ შეადგინა 1 579 764.3 ათასი ლარი, რაც გეგმის (1 579 764.6 ათასი ლარი) 100.0%-ს შეადგენს;
- ✓ ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვის დაფინანსებამ შეადგინა 658 519.2 ათასი ლარი, ანუ გეგმის (658 575.2 ათასი ლარი) 100.0%;
- ✓ საცხოვრებლით უზრუნველყოფის დაფინანსებამ შეადგინა 11 510.4 ათასი ლარი, ანუ გეგმის (11 568.9 ათასი ლარი) 99.5%;
- ✓ სოციალური გაუცხოების საკითხების, რომლებიც არ ექვემდებარება კლასიფიცირებას, დაფინანსებამ შეადგინა 107 437.6 ათასი ლარი, ანუ გეგმის (106 844.0 ათასი ლარი) 100.6%;
- ✓ სოციალური დაცვის სფეროში სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობის ასიგნებების დაფინანსებამ შეადგინა 46 520.6 ათასი ლარი, რაც გეგმის (47 216.5 ათასი ლარი) 98.5%-ს შეადგენს.

### საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდი

„საქართველოს 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდის ასიგნებები განისაზღვრა 50 000.0 ათასი ლარით. ამასთან, საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდის ასიგნებები გაიზარდა:

- „2016 წელს განხორციელებული ტენდერების შედეგად წარმოქმნილი ეკონომიის შემდგომი გამოყენების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 16 მაისის N824 განკარგულების თანახმად - 22 780.5 ათასი ლარით;
- „საქართველოს 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ ფონდებში რესურსების გაზრდის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 14 ივლისის N1405 განკარგულების თანახმად - 5 000.0 ათასი ლარით (საგარეო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურებისა და დაფარვისათვის გათვალისწინებული ასიგნებების შემცირების ხარჯზე);
- „ზოგიერთი ღონისძიების გატარების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 3 აგვისტოს N1585 განკარგულების თანახმად - 76 300.0 ათასი ლარით (მათ შორის 60 000.0 ათასი ლარი - საგარეო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურებისა და დაფარვისათვის გათვალისწინებული ასიგნებების შემცირების ხარჯზე, ხოლო 16 300.0 ათასი ლარი - აღნიშნული განკარგულებით განსაზღვრული მხარჯავი დაწესებულებებისათვის წლიური საბიუჯეტო კანონით გათვალისწინებული ასიგნებების შემცირების ხარჯზე).
- „ქართული ფეხბურთის განვითარებასთან დაკავშირებით ზოგიერთი ღონისძიებების განხორციელების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 31 ოქტომბრის N2274 განკარგულების თანახმად - 3 000.0 ათასი ლარით (საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებთან თანამშრომლობიდან გამომდინარე ვალდებულებებისათვის გათვალისწინებული ასიგნებების შემცირების ხარჯზე);
- „საქართველოს 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ ფონდებში რესურსების გაზრდის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 17 ნოემბრის N2435 განკარგულების თანახმად - 4 000.0 ათასი ლარით (საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებთან თანამშრომლობიდან გამომდინარე ვალდებულებებისათვის გათვალისწინებული ასიგნებების შემცირების ხარჯზე);
- „საქართველოს 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ ფონდებში რესურსების გაზრდის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 22 დეკემბრის N2600 განკარგულების თანახმად - 17 000.0 ათასი ლარით (საგარეო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურებისა და დაფარვისათვის გათვალისწინებული ასიგნებების შემცირების ხარჯზე);

შესაბამისად ფონდის ასიგნებები წლის განმავლობაში სულ გაიზარდა 128 080.5 ათასი ლარით და წლის ბოლოსთვის განისაზღვრა 178 080.5 ათასი ლარის ოდენობით.

საქართველოს მთავრობის განკარგულებებით და საქართველოს პრემიერ-მინისტრის ბრძანებებით საანგარიშო პერიოდში საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან ნორმატიული აქტებით გამოყოფილი ასიგნებების მოცულობამ შეადგინა 176 697.4 ათასი ლარი, ხოლო საკასო შესრულებამ - 172 872.7 ათასი ლარი.

ლარებში					
დოკუმენტის თარიღი და ნომერი	თანხისის გაცემის მიზანი	ნორმატიული აქტით გამოყოფილი თანხა	გამოყოფილი თანხა	სკანი ხარჯი	გადახრა
საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია		200,000.0	200,000.0	198,998.7	1,001.3
საქართველოს მთავრობის განკარგულება N1799 07.09.16.	2016 წლის 30 სექტემბრიდან 2 ოქტომბრის ჩათვლით, მისი უწმინდესობის, რომის პაპის ფრანცისკუს საქართველოში დაგეგმილი ვიზიტის ორგანიზებასთან დაკავშირებული	200,000.0	200,000.0	198,998.7	1,001.3

დოკუმენტის თარიღი და ნომერი	თანხის გაცემის მიზანი	ნორმატიული აქტით გამოყოფილი თანხა	გამოყოფილი თანხა	საკასო ხარჯი	გადახრა
	ხარჯების (მ.შ. ღონისძიებების გაშუქების ხარჯები) თანადაფინანსების მიზნით				
<b>საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია</b>	<b>2,677,805.8</b>	<b>2,577,442.0</b>	<b>2,573,119.9</b>	<b>4,322.1</b>	
საქართველოს მთავრობის განკარგულება N212 11.02.16.	საქართველოს ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის პროცესის შეუფერხებელი და თანმიმდევრული განხორციელების მიზნით, საკონსულტაციო მომსახურების შესყიდვასთან დაკავშირებული ხარჯების დასაფინანსებლად	2,124,912.8	2,041,033.6	2,041,033.6	0.0
საქართველოს მთავრობის განკარგულება N699 22.04.16.	საქართველოს დამოუკიდებლობის დღის - 26 მაისისადმი მიძღვნილი ღონისძიებების ორგანიზების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ	440,000.0	440,000.0	435,677.9	4,322.1
საქართველოს მთავრობის განკარგულება N911 23.05.16.	საქართველოს ევროკავშირთან უკაზი მიზნისვლის მიღებასთნ დაკავშირებით საკონსულტაციო მომსახურების შესყიდვის ხარჯების დასაფინანსებლად	112,893.0	96,408.4	96,408.4	0.0
<b>საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია</b>	<b>12,386,307.0</b>	<b>12,386,307.0</b>	<b>12,083,691.3</b>	<b>302,615.7</b>	
საქართველოს მთავრობის განკარგულება N547 31.03.16.	2016 წლის 22 მაისს დანიშნული გარდაბნის, კასპის, წყალტუბოს, ქალაქ ოზურგეთის, ოზურგეთის, ხობისა და ზუგდიდის მუნიციპალიტეტების საკრებულოების შუალედური არჩევნების დაფინანსების მიზნით	1,477,120.0	1,477,120.0	1,461,666.1	15,453.9
საქართველოს მთავრობის განკარგულება N1280 01.07.16.	2016 წლის 8 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების დაფინანსების მიზნით	3,764,830.0	3,764,830.0	3,740,632.9	24,197.1
საქართველოს მთავრობის განკარგულება N2252 27.10.16.	2016 წლის 30 ოქტომბერს დანიშნული საქართველოს პარლამენტის 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნებისა და თვითმმართველი ქალაქის - ახალცხის მერიისა და თვითმმართველი თემების - ბოლნისისა და ხარაგაულის მუნიციპალიტეტების გამგებლების 2016 წლის 8 ოქტომბრის რიგგარეშე არჩევნების მეორე ტურების დაფინანსების მიზნით	4,684,357.0	4,684,357.0	4,421,392.4	262,964.6
საქართველოს მთავრობის განკარგულება N2481 29.11.16.	2016 წლის ოქტომბრის საქართველოს საარლამენტო არჩევნების ორივე ტურის დროს საარჩევნო სუბიექტების მიერ საარჩევნო კამპანიისთვის გაწეული ხარჯების დაფინანსების მიზნით	2,460,000.0	2,460,000.0	2,460,000.0	0.0
<b>საერთო სასამართლოები</b>	<b>1,098,227.0</b>	<b>1,031,959.0</b>	<b>1,030,735.8</b>	<b>1,223.2</b>	
საქართველოს მთავრობის განკარგულება N257 19.02.16.	2016 წლის 20 ოქტომბერიდან საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 114-ე მუხლის („გამომიების დროს პირის მოწმედ დაკითხვის წესის“) ამოქმედებისათვის საჭირო ღონისძიებების მხარდასაჭირად	505,815.0	439,547.0	438,837.5	709.5
საქართველოს მთავრობის განკარგულება	სსპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტის - თბილისის საპელაციო და თბილისის საქალაქო სასამართლოების	592,412.0	592,412.0	591,898.3	513.7

დოკუმენტის თარიღი და ნომერი	თანხის გაცემის მიზანი	ნორმატიული აქტით გამოყოფილი თანხა	გამოყოფილი თანხა	სკანი ხარჯი	გადახრა
N1608 04.08.16.	მოსამართლეთა, მოსამართლის თანამშემწის და სხდომის მდივნის (რეფერენტის) 20-20 საშტატო ერთეულით გაზრდასთან და თბილისის საქალაქო სასამართლოს ახალი შენობის მშენებლობისათვის საჭირო საპროექტო დოკუმენტაციის მომზადებასთან დაკავშირებული ხარჯების დაფინანსების მიზნით				
<b>ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი</b>		<b>3,237,656.2</b>	<b>3,172,204.7</b>	<b>3,148,335.6</b>	<b>23,869.0</b>
საქართველოს მთავრობის განკარგულება N484 21.03.16.	2016 წლის 4-17 აპრილს ნატო-ს კვირეულის ჩატარებასთან დაკავშირებული ხარჯების დაფინანსების მიზნით	41,000.0	41,000.0	40,969.1	30.9
საქართველოს მთავრობის განკარგულება N543 31.03.16.	ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის პროცესის შეუფერხებელი და თანმიმდევრული განხორციელებისათვის საჭირო საკონსულტაციო მომსახურების შესყიდვასთან დაკავშირებული ხარჯების დაფინანსების მიზნით	1,707,478.7	1,700,736.3	1,683,254.0	17,482.3
საქართველოს მთავრობის განკარგულება N804 11.05.16.	2016 წლის 8-24 მაისს ევროპის კვირეულის ჩატარებასთან დაკავშირებული ხარჯების დაფინანსების მიზნით	62,000.0	62,000.0	59,773.7	2,226.3
საქართველოს მთავრობის განკარგულება N1249 01.07.16.	ქ. ბათუმში 2016 წლის 14-15 ივნისს დაგეგმილი საერთაშორისო კონფერენციის „საქართველოს ევროპული გზა“ მაღალ დონეზე ჩატარებასთან დაკავშირებული ხარჯების დაფინანსების მიზნით	255,000.0	255,000.0	254,929.8	70.2
საქართველოს მთავრობის განკარგულება N1590 03.08.16.	2016 წლის სექტემბერში საქართველოში დაგეგმილი ჩრდილო-ატლანტიკური საბჭოს (NAC) ვიზიტთან დაკავშირებული შესაბამისი ღონისძიებების დაფინანსების მიზნით	1,172,177.5	1,113,468.4	1,109,409.0	4,059.4
<b>დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი</b>		<b>438,151.9</b>	<b>422,769.7</b>	<b>392,033.5</b>	<b>30,736.2</b>
საქართველოს მთავრობის განკარგულება N635 15.04.16.	2016 წლის 27-28 მაისს ქართული დიასპორის დღის ფარგლებში „მეორე დიასპორული პროფესიული ფორუმის“ ჩატარებასთან დაკავშირებული ღონისძიებების დაფინანსების მიზნით	131,031.0	131,031.0	131,030.3	0.7
საქართველოს მთავრობის განკარგულება N2215 19.10.16.	საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის მიერ საფრანგეთში შეძენილი ლევილის მამულის (Leuville-sur-Orge) საქართველოსათვის გადმოსაცემად გაწეული სანოტარო და საადვოკატო მომსახურების, აგრეთვე ფისკალური გადასახადებისა და კომუნალური ხარჯების დაფინანსების მიზნით	217,120.9	201,738.7	201,366.2	372.5
საქართველოს მთავრობის განკარგულება N2251 27.10.16.	2016 წლის 17-18 ნოემბერს, დიასპორული ფორუმის „ქართული დიასპორა, დღევანდელობა და გამოწვევება“ გამრთვასთან დაკავშირებული	90,000.0	90,000.0	59,637.0	30,363.0

დოკუმენტის თარიღი და ნომერი	თანხის გაცემის მიზანი	ნორმატიული აქტით გამოყოფილი თანხა	გამოყოფილი თანხა	საკასო ხარჯი	გადახრა
	ღონისძიებების დაფინანსების მიზნით				
შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი	300,000.0	300,000.0	300,000.0	0.0	
საქართველოს მთავრობის განკარგულება N1344 07.07.16.	აფხაზეთის ავტონომიური ორგანული კონფლიქტის გულრიფშის რაიონში მცხოვრები 120 ოჯახის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების, საოჯახო მეურნეობების განვითარებისა და პირველადი საჭიროებებით უზრუნველყოფის მიზნით (თითოეულ ოჯახზე - 2 000 ლარი)	240,000.0	240,000.0	240,000.0	0.0
საქართველოს მთავრობის განკარგულება N1609 04.08.16.	არაქართულენოვანი გაზეთების „ვრასტანისა“ და „გურჯისტანის“ ფუნქციონირების ხელშეწყობის მიზნით	60,000.0	60,000.0	60,000.0	0.0
საქართველოს კონმიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	15,594,885.1	15,394,819.1	15,136,571.6	258,247.4	
